საქართველოს მთიანი რეგიონების გარემოს
დაცვა და ბუნებათსარგებლობა

თამარ ალექსიძე

ელ-ფოსტა: tamar.aleksidze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

საქართველოს მთიანი რეგიონების რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებიდან საჭიროდ მიგვაჩნია:

– გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, აღწარმოება და გარემოს პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენა.

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას ბუნებაზე და მის კომპონენტებზე ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ნორმების დადგენა. მთიან რეგიონების ფარგლებში არსებული დიდ დებიტიანი მინერალური წყაროების ეკოლოგიზაცია მათი ტურისტული რეკრეაციული თვალსაზრისით გამოყენების მიზნით.

– მდგრადობის პრინციპის გათვალისწინება – გარემო და მისი რესურსები გამოყენებულ უნდა იქნას ისე, რომ საშიშროება არ შეექმნას საზოგადოების განვითარებას.

– გარემოზე ზემოქმედების შეფასება სამეურნეო საქმიანობის (პროექტირების და დაგეგმარების) დროს.

– გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური (ეკოაუდიტის) აუდიტის ჩატარება მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

– ეკოლოგიური პასპორტიზაციისა და სერთიფიკაციის ჩატარება ლიცენზირება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას. მონაცემთა ბანკი – დაჭუჭყიანების სახის, ხარისხის, მასშტაბის, გავრცელების არეალის და სხვ. შესახებ.

– ბუნებრივ კატასტფროფული მოვლენებისა და პროცესების შედეგად მკვეთრად გაუარესებულ გარემოს მდგომარეობის საგანგებო ეკოლოგიურ ზონად გამოცხადება.

– ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გეგმაზომიერი შეზღუდვა, ზომიერების დაცვა ტურიზმის სფეროში, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაიონებს შორის დამაკავშირებელი გზებისა და ხიდების მშენებლობათა მოწესრიგება, მთის პატარ-პატარა სოფლებში ტრადიციული დარგების აღდგენა და სოც-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება გახდება მთიანი რეგიონების ბუნებისა და მეურნეობის მდგრადი განვითარების გარანტი.